# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემა - დამხმარე ღონისძიებების საკონსულტაციო მომსახურება**



**განხორციელების ვადა:** 20.04.2015 - 19.04.2021

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 3 600 000

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 27 600 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Kreditanstalt Fur Wiederaufbau (KFW)

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/SWMCGEORGIA

**პროექტის ვებსაიტები:** waste.gov.ge

**პროექტის აღწერა:**

ტექნიკური დახმარების პროექტი ხორციელდება ქუთაისში ნაგავსაყრელის მოწყობის პარალელურად, რომელიც ევროკავშირის ნაგავსაყრელების რეგულაციებთან სრულად შესაბამისია. პროექტი გადამზადების და საკონსულტაციო სერვისებს უწევს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას და ცდილობს მისი ორგანიზაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას. პროექტი კომპანიას შემდეგი მიმართულებით უწევს მხარდაჭერას:
-ორგანიზაციული მართვა
-ფინანსური მართვა
-ტექნიკური კომპეტენცია
-საზოგადოებასთან ურთიერთობა, კომუნიკაცია და საჯარო ცნობიერების ამაღლების აქტივობები.
გარდა ამისა, პროექტი მხარს უჭერს რეგიონის მუნიციპალიტეტებს (სეპარირებული შეგროვება, კომპოსტირება, ნარჩენების მართვის (ფინანსური, ტექნიკური, ლოგისტიკური) დაგეგმარების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობა) და ეხმარება რეგიონული სემინარების ორგანიზებაში, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ნარჩენების მართვის ზოგად და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარების, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, მდგრადი და გარემოსდაცვითი კუთხით მტკიცე მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის შექმნას და გაძლიერებას ემსახურება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი, რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა, გადამტვირთი სადგურების სისტემის შექმნა
- ქუთაისის ნიკეას ძველი ნაგავსაყრელის დახურვა
- მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვა, პროცესში ჩართული ყველა მხარის შესაძლებლობების გაძლიერების გზით (სმნმკ, მუნიციპალიტეტები, მოქალაქეები, დაინტერესებული მხარეები).